თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 14

ქ. თერჯოლა 5 დეკემბერი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რამინი რობაქიძე, 2. კობა კირკიტაძე, 3. როლანდი მესხი, 4. გიორგი ბარათაშვილი

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282333566, 01.12.2023 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა და შეადგენს 31643.3 ათას ლარს. ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 80.0 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია). გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი შემცირდა 35.0 ათასი ლარით და საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო

მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება შემცირდა 45.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 80.0 ათასი ლარით. კომუნალური მეურნეობის განვითარება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით. სკოლისგარეშე განათლება გაიზარდა 2.0 ათასი ლარით. კულტურის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 1.0 ათასი ლარით. კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით. სოციალური დაცვა გაიზარდა 7.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გ.გიორგაძემ, დ.გოგბერაშვილმა, მ. ფანჩულიძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე
თემურ ქოჩიაშვილი